განკარგულება:**g-81. 81253302**
თარიღი:**26/11/2025**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №73

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების განხორციელების შესახებ

ადგილობრივი სამგზავრო სატრანსპორტო მოძრაობის არსებული მარშრუტების ნაწილობრივ დაფინანსებისათვის ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების დაფინანსება, რომლის განკარგვის მიზნით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების სამარშრუტო სქემა დანართი №1 შესაბამისად. (თან ერთვის)

2. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს სამარშრუტო სქემისა და სხვადასხვა მიმართულებებზე ადგილობრივი სატრანსპორტო სამგზავრო გადაყვანების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს აუქციონის გარეშე ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის საშუალებით (წლის განმავლობაში 2 ეტაპად).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქუჩა №69).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი